


1.  
1957

ნაბ. ე. ბერძენიშვილი



ქართული  
ბიბლიოთეკა



1837-1957



№ 18

საქართველო თბილისი

1957

ჩემსგან ამბობენ: „ის სიკვდილს ქართველისას ამბობს,  
ჩვენს ცუდს არ მალავს, ეკ სომ ცხადი სიმუღავილია!“  
ბრიყვი ამბობენ, კარგი გული კი მაშინვე სცნობს—  
ამ სიმუღავილში რადიკალი სიყვარულია!



ფანტაზიის ტრფიალს რომ იტყვიან, სწორედ ისა ვარ. ვგრძნობ, რომ ილიას იუბილეზე მოსაწვევ ბარათს ვერ ვიშოვი, ამიტომ საკუთარ წარმოდგენას მივწვდები...

აი, ვხედავ მთაწმინდიდან ბესიკის ქუჩით როგორ ჩამობრძანდა რუსთაველის პროსპექტზე მარად უკვდავი ილია. მარჯვნივ ქალარა აკაკი ამოდგომია, მარცხნივ — ნაბადმოსხმული ვაჟა. უკან მოჰყვება მრავალრიცხოვანი ამაღლა. ისმის ფოტოაპარატების ტკაცუნა, ციბრუტივით ტრიალებენ ოპერატორები, რათა ეს ისტორიული წუთები აღბეჭდონ კინოფირზე.

— გეთაყვათ, ეს რა ხალხია, რალაც ძალზე მეცნობა, განსაკუთრებით ეს შავოსანი დედაკაცი, ჩემს ოთარაანთ ქვრივსა ჰვავს.

— მიხედით, დიდო ილია, ეს ჩვენი სახელოვანი ვერიკო ანჯაფარიძეა ოთარაანთ ქვრივის როლში. რამდენიმე კადრი თქვენზე თანდასწრებით გვინდოდა გადაგველო, იქნებ რაიმე შესწორებანი მოგეცათ.

ილიამ კაყუთილებით ჩაიღიმა და ახლა სხვა გმირებს გადახედა. მაშინვე იცნო გიორგი, კესო, არჩილი და მოხუცი მეწისქვილეც კი. ზოგ რამეზე უნდოდა შენიშვის მიცემა, მაგრამ თავი შეიკავა, ვაი თუ იფიქრონ, სცენარის თანაავტორობა უნდაო.

ამასობაში საზეიმოდ მორთულ ოპერის თეატრს მიუახლოვდნენ. მილიციელები ხელხელჩაიკიდებულნი იდგნენ, თითქოს „ზორუმის“ საცეკვაოდ ემზადებოდნენ. იმდენი ხალხი აწყდებოდა შესასვლელს, იფიქრებდით, ერეგვის „სპარტაკს“ თბილისის „ოსკთან“ წაგებულ მატჩი გაუპროტესტებია და ახლა ოპერაში ხდება გადათამაშებაო. ხალხი ნაირნაირი თავგულებით (რომლებიც „ტუ 104“ ით ჩამოუტანიათ საგანგებოდ ლენინგრადიდან) ჩამწკრივებულიყო ოპერასთან.

ოპერის კიბეზე ფეხშედგმულ ილიას თვალში ეცა უცხო მორთული ქალიშვილები. ალბათ ჩვენებურებს არ არიანო, გაიფიქრა მან და შემოგებულ ადმინისტრატორს სთხოვა, შეეშვათ ისინი დარბაზში. ადმინისტრატორი გამოუტყდა, ამ ქალიშვილებს მხოლოდ კონცერტი აინტერესებთ და მეორე განყოფილებაზე შეეუშვებთო.

თეატრში თავი მოეყარათ მომწყობი კომისიის წევრებს, რომლებსაც დიდი მღელვარება გადაეტანათ, მოსაწვევები

დროულად გაეცრცლებინათ ნაცნობ-ნათესაებში და ახლა საიუბილეო სალამოს დაწყებას მოუთმენლად ელოდნენ.

როგორც იქნა, ხალხი დაწყნარდა და სალამო დაიწყო. სიტყვა მისცეს მთავარ მომხსენებელს. მან ვრცლად მიმოიხილა ქართული ლიტერატურის ისტორია იაკობ ცურტაველიდან დაწყებული, ილიას ნაწარმოების ყველა გმირები ჩამოთვალა გლახა ქრიაშვილის გარდა (თავმდაბლობის გამო თავის-თავზე ხომ არაფერს იტყოდა) და იუბილარი გააკვირვა: ეს რა ერუდიტი კაცი ბრძანებულა, დემოსთენივით მჭერმეტყველიაო, თავისებური ირონიით თქვა ილიამ.

— ილიასადმი მიძღვნილ ლექსს წაიკითხავს იოსებ ნონეშვილი — გამოაცხადა თავმჯდომარემ.

დარბაზში წინასწარ გაისმა ტაშას-ცემა. გამოვიდა ნონეშვილი და ისეთი ლექსი წაიკითხა, რომ აკაკიმ სთქვა — გამეგონა, ეს ახალგაზრდა ლექსებს რომ წერდა, მაგრამ თუ ასეთი იმპროვიზატორიც იყო, არ მეგონაო.

სიტყვა მისცეს მსტოვან მწერალს შალვა დადიანს.

— ისევ შენ და ისევ შენ, ჩვენო დიდებულო ილიავ, — დაიწყო მან, — ქართული თეატრი დღესაც შენით წელმაგრობს, ჩვენს სცენას დეკადაზეც დაამშვენებს შენი „გლახის ნაწამობი“ და „ოთარაანთ ქვრივი“.

კომპოზიტორთა სახელით იუბილარს მიესალმა დავით თორაძე. მან დანანებით აღნიშნა, რომ ოპერაში ჯერჯერობით „კაკო ყაჩაღის“ გარდა ფეხი ვერაფერმა შოიკიდაო (დარბაზში გამოცოცხლება, ღიმელი). და პირობა დასდო, უახლოეს ხანში დაამთავრებდა ბალეტ „ოთარაანთ ქვრივს“. რა საჭიროაო, უნდოდა ეთქვა დიდ მგოსანს, მაგრამ კომპოზიტორი ისე აღელვებული ჩანდა, რომ იუბილარმა ხელი ჩააქნია და დუმილი ამჯობინა.

როგორც იქნა, დამთავრდა პირველი განყოფილება. ილიას უთვალავი მწერალი შემოესია. ერთი კი გაიოცა, ამდენი მწერალი რამ მოამრავლა საქართველოშიო. პირველად ილიას აკაკივით წვერმოშვებული გ. ტაბიძე მიუახლოვდა, იუბილე მიულოცა და თავის სალამოზე დაპატიჟა, რომელიც მისი ღრმა რწმენით უახლოეს დღეებში უნდა გა-

მართულიყო. ახლა ი. გრიშაშვილი მივიდა ილიასთან, დავებრდიო, შესჩვილა.

— რას მიქვიან სიბერე, — ანუგეშა ილიამ, — ჯერ რამდენი ნარკვევი გაქვს დასაწერი, დაჯექი და დაწერე, მე შენ გეტყვი, წიგნებს ვერ იშოვნიო.

სულ ბოლოს იუბილარს გამბდარი სახის ახალგაზრდა კაცი მიუახლოვდა და თავისი წიგნი გაუწოდა, ეს გახლდათ რ. ჯაფარიძე. წიგნი კი — მისი „ჯარისკაცის ქვრივი“.

— კადნიერებათ ნუ ჩამომართმევთ, მეც ქვრივზე დავწერე რომანი, თქვენი აზრი, ყველა კრიტიკოსის მეგობრულ შენიშვნებზე უფრო მაინტერესებსო.

ვესტიბულში გამოსულ ილიას ავტოგრაფს თხოვდნენ. უცებ შუახნის მანდილოსანი მივარდა მას და სიტყვებით: „ჩემი ოჯახის გამბედნიერებელო“, — შუბლზე ეამბორა. ილიამ გაიფიქრა, ჩემი მკითხველი თუაო. გამოირკვა, რომ დიასახლისი იყო, ხუთი შვილის დედა, რომლის ქმარს დისერტაცია დაუცავს თემაზე — „ლუარსაბ. თათქარიძე როგორც ლორმუცელა ადამიანის ტიპი“.

მეორე განყოფილების დაწყებამდე ორჯერ იმატა ხალხმა ოპერის შესასვლელთან. ამასობაში ზარიც დაირეკა და სტუმრები ლოჯაში მიიწვიეს. სცენაზე გამოჩნდნენ კვანტალიანი და გომელაური. წინა რიგში მჯდარ ლუარსაბსაც კი მოსწყინდა კონცერტი, ყვინთვა დაიწყო და თავი მოხევე ლელთ ლუნას დააყრდნო. ამ უკანასკნელს მოთმინება დაელია და ლუარსაბს მკვახედ მიახალა: „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდვენსო“.


საიუბილეო სალამო ნაშუალამევს დამთავრდა და იუბილარი ბანკეტზე წაიყვანეს სასტუმრო „თბილისში“.

მეორე დღეს ილია ტელესტუდიაში მიიწვიეს და, როგორც იქნა, საკუთარი თვალთ ვიხილე.

ეჰ, ჩემო მკითხველო! ნეტავ ისეთი ნაცნობი გამოგვჩენოდა, რომ ჩვენთვისაც მოეცა თითო მოსაწვევი, მაშინ არც შენ დაგლიდა ჩემი ფანტაზია და არც მე.



ლოდინი, თუნდ ერთის წუთისა, მაინც მოსაწყენია.



ეგ ის არის, ვის პორტფელი იდლიის ქვეშ მუდამ სჩრია... არც ბევრი რამ თვითონ არის, არც პორტფელში რამ უყრია.

# ქართული ბიულეტენი

## „ნიანის“ მკითხველებს

მარტო შენი მტერი დაგიმალავს, შენს სახეზედ რომ ურიგობა ჰნახოს რამე, მოყვარე კი მაშინვე სარკეს მოგიტანს, რომ გაისწორო და ხალხში არ შერცხვე.

## ახალგაზრდობას

... ეხლა ან ადლი უნდა გვეჭიროს ხელში, ან გუთანი, ან ჩარხი ქარხნისა, ან მავთული მანქანისა. ეხლა... ვაჟკაცობა უნდა შრომისა, რომ ოფლი ჰღვაროს, კიდევ ვიტყვი, ქვეყანა ეხლა იმისია, ვინც ირჯება და ვინც იცის წესი და ხერხი გარჯისა, ვინც უფრო უფროთხილდება ნაშრომს, ვინც იზოგავს ნაღვაწს...

## საბავშვო ბაღის მისწავლით

ბავშვის ბუნება საიდუმლოთა საიდუმლოა. ბავშვი იგივე ადამიანია, და მით უფრო ძნელი საცნობელია, რომ ძნელ წასაკითხ ქარაგმით დაწერილია, თუ ესე ითქმის და არა მსხვილ და სრულ ასოებით, როგორც დამთავრებული კაცი. არ უნდა გიკვირდეს, რომ რასაც დიდ მდინარეში ვბოულობთ, იმას მის პატარა სათავეშიაც ვხედავთ. ბავშვი სათავეა, დასაწყისია დიდის ადამიანისა.

...თუ წვრთნა გინდა ბავშვისა, იგი შენ უნდა ჩაისო გულში და იმან შენ. ბევრში ეგ, ჩემის ფიქრით, შეუძლებელია, უმაგისოდ კი შესაძლოა—სწავლა, ცოდნა მისცე და ადამიანობა კი არას დროს. მე კი ასე მგონია, რომ ადამიანობას პირველი ადგილი უნდა დაეთმოს ბავშვის წვრთნა—სწავლებაში.

## აბრეშუმ-საქსოვ საბრძოლველად და № 1 აბანოს

კვამლი ფრიად სასიამოვნოა, —პირველი იმისათვის, რომ კვამლი თვალს ეფარება და მართლჭკრეტას უშლის, მეორე იმისთვის, რომ კვამლი ხშირად თვალისა და ცრემლის გავლერევიანებს ხოლმე.

## ზოგ-ზოგ მცნობით

განათლება იმაში კი არ მდგომარეობს, რომ მიწასთან გავასწოროთ კაცი, რატომ შენც განათლებული არა ხარო; არამედ როგორც ძმას, რომელსაც არა ჰქონია ბედი განათლებისა, მოჰკიდო მზრუნველი ხელი და დააყენო ფეხზედ—განათლებული, მარგებელი ქვეყნისა. აი კაცი, აი ამგვარ კაცის წინ მოვდრეკ თავსა და თავყანსა ვცემ. თორემ დაგვიყინია, რომ ჩვენს აზრს თანამოზიარე, თანამგრძნობელი არა ჰყავსო, და ამისა გამო დაგვიკრეფია გულ-ხელი და არაფერში ვერევიო.

## ბიუროკრატებს

(მიიღონ „მიღების საათების“ დაწყებამდე)

თქვენ რომ როდისმე გაგვირებოდათ, მაშინ შეიტყობდით—მწუხარისათვის, იმედ-გადაწყვეტილისათვის სიტყვა, თუ ნამეტნავად იმ სიტყვაში გულის სითბო და სიმართლეს ურევია, მაშინ შეიტყობდით,—ის სიტყვა რა ტკივილის დამყუჩავი რამ არის!.. ასე გგონია, იმ სიტყვებმა ნახევარი ნაღველი თან წაიღესო, ისეთი ლოდინი აგეცლება გულიდამ.

# „კაცია-ადამიანი?“ თანამედროვე ასპექტში



კაცი არ არის თავისთავად ღვარასთაფარობის სახე-კარი. წარმოდგენილ ვაქვს, თბილისის ამ შესანიშნავ ეზოში, წამბეჭდილი ინსტიტუტისა და შუბის ამის ბაგრონი თავისი საწყობის გარეშე გახლდათ, და როგორც ზღვის სიღრმის სიღრმის კაცს, მისე თავე და სახელ პრინცი და ბეჭის ტობრება ჰქონდა გამოტყვევებული. იმდენივე სიძინელი ვადავლი მის განაწინებში, რომ ზურბოლები მწარედ ხეობრდებდნენ ეს კაცი სიძინელად ხომ არ უნდა იტყვიან. მართალია, ბავშვობისას არაბოტეტაკში ორიანი არ სცოდნებოდა, მაგრამ რომ დავაეკცხა უფრო ზეიარად ანგარიშობა ასი ათასი მანეთის ფარგლებში, ამ ენგარის წყუბოლი ცდელ არ მოეწყვა თავისი სახე, საიდანაც—გვეტყვიან მუხომელი—საწყობიდან, ზეი მოეპყველა. მართალია, საწყობი თვითონ პეტარია, მაგრამ ასეთი სახლების შობა კი ათობით უფროა.

ქვედა სართული გაქრავებული ჰქონდა სტოდენტებზე, რომ მწებლობის ხარჯები როგორც დავადარა. ახლა მოწყობილია? საწოლ ოთახში იფეა სარკები მანქანა და მაცივარი „დენგრო“, სასაღილი ოთახში—რეისი საწოლი და რთილი „დენგრო“, რომლებზეც კენია—დარეჯანი სა-

ფულაზე, თითო გულსამაგურებელ იღებს ახვია მუცელა ბოვარისა ავირდებს, საშარეულში უფროსებმა მკობრდა რაღობიშელე მელორის 55-ის ზნილად. ეს ღვარასი დატოლა ტალღებზე, რომ ვაგეო, როგორც ანდრი იყო მოსალოდნელი აღმოსავლელ საქართველოში დაბით. ტელევიზორის ცივას განებე ვაურობდნენ, რომ ავღუვალაინა მუხომბელი არ შეეცაინა ოჯახში და... სკების კურსში.

ერთი კერა დღეს, ღვარასი ტახტზე წამოწოდებული და ზეიარად ანგარიშობა, რამდენი პრინცი მარჯული იქნებოდა სახარი დღამის ტრატორიის დასაინარავად. კენია დარეჯანი მაცივარს მოედომოდა და მოგებს ეგრბალის უცანას-კნელ ნიბრის დაეკუბით აფხვარა.

— სულ სხებთან რომ სკდები და იღუჭები, რა იქნება, შერი საყვარელი ცილილ წაყვიანი რესტორანში!—უსაყვედურა დარეჯანმა ქმარს.

ღვარასის რაღა ეთქმოდა, ახავდებოდა მოსხენ და თვალად დახამამებში ტაქტი ზედ რესტორან დაბოლითანი დაამუხრებებინა. მძილეს მ მანეთის ნაცვლად ათამბოვიანი

ქროლა და თითქმის შეკვივდებოდა გზა. ცხოვრებაში პირველად ცოლა უნდა გაეკვირებინა.

ტყუბობა, კუცის მუხომბეჭდისა მუხომბეჭდის მაცივარზე მოქალაქის ავირდებინა კენი პირველი მაცივარის და ანგარიშის მოლოდინში ის სკდებოდა ახილებდა № 1 ფარების პრინცი, თითქმის № 1 სკდებოდა. კარგა წნის ცდის შემდეგ, ჩვენმა ცილ-ქმარისა მოიქცევი ზეი და თურმე წყაროზე რაღე მუხომბეჭდისა, რომელიც რომელიც თანამედროვე კომპიუტერისა მოეპყვირებოდა. დარეჯანმა სკდებოდა განბოლიანი კარგი ქარბოლ სკდებოდა. ისინი იყო უნდა განამბეჭდული ჩინობისა და მოხმასი ცნობილი სკდები, თვითონი დროულად მოსრიალდა.—ერთი ჩინობისა სკდები მოხმასი-მისე ნიბრისა-ლური დავჯანა ღვარასის.

თვითონმა უწოდებინა, რომ ასეთი სახლები მას მხოლოდ აკაცია-ადამიანის სკდები და მითინ ტბილი მოეკლებს მტეა არავარი კურსები.

— ამა რა ჯანდაბანა—განაზღვრა ღვარასი.

— რამდენი, ზეივე, ზეივეტყვიანი.

რაცე ერთი საათი ცდებოდა ეს მაცივარე განაზღვრა. ამას

მოხვდა გულაინი სალოთი. თვითონის რა ენაღებოდა, შინცელი ზეიარად ანგარიშობა, ღვარასისა ორი ასიანი გამოკერა დასკოდან და დარჯანი ისეთი საბით დასტევა, თითქმის იქ მსხლობი უნებრება; თვითონივე ადამიანი თვითონის ზეიარადს როგორ გამოინარეებო.

ორი არ აქვდა ღვარასის ცხოვრებაში: ვანაღებოდა და შუბისა, მიიქვდა დანაღლის არე თუ მუხომბეჭდისა გამოკერა—შეიბანდა არ დამოვადებოდა კონომიური ფაქტობეჭდისა. მაცივარე ტახტობდა ფეხი არ მოეცდებოდა.—გაუდღებდა ხილვე ისტორიულ მართალი. უწოდებოდა კი მართალი გულს უწავიდა.—ერთი შუბს გამოხეტილ მუხომბეჭდისა მომთაბოტენინა ზელი და შერი მომლოა.—გეუბრა ხილვე დარეჯანს. ნატრობდა, ერთი მუხომბეჭდისა განსტევა, რომ ერთივე ცენტრალური გათბობა არ გაეფუჭებინა.

ამისთვის მუხომბეჭდისა მიმართა. მაგრამ რა, დარეჯანის ნაცვლად ღვარასის სკდებობა მუხომბეჭდისა.

— მიხედე!—

ადამიანი აქვეტევი.

დარეჯანმა ოჯახში მუხომბეჭდისა მაცივარისა გამოკერა ცეკვ მოეცდებოდა ღვარასისა შერიშისა, რომელიც ისე უწიროდ იტყვარბოდა, ცხოვრებითი მამობილი დიდევა იფაღინ. ზეიარად დარეჯანმა, ეტლი რომ მოიბეჭდა, ახალგაზრდობაში, მანამ დღისა უწევილი დასტევისა ენგარობობა.

როგორც ენა, ამოღევა ენა.

— მოეცდებოდა მოეცდებოდა. პირში სასტეფინი ეტარი შუბს ამ ქვეყნის მუხომბეჭდისა ხარო—ძალიან ზეიარად ეტარი იყო... თან ზეიარადს მოეცდებდნენ, თან მაცივარისა.

დარეჯანს ზეიარად ზელის სმა დასტევიდა ღვარასის მუხომბეჭდისა კედაზე იმისა დასარეჭებულად, რომ ეს სიზნარი იყო და არა ცხელი.

მართალია, სიზნარი რომ იყო, მაღელ ცხელი გახდა ღვარასისათვის...

ბარი პარალელში.



ნან. ჯ. ლომიძე

ივით ხარ რევი, შუბისა შერი რაღ არის მწელი.

გახსოვებოდა, არ შეგხვდები, მუხომბეჭდისა განაზღვრებული.

— კოვდელ ხის ძარბა ზეი სალოთი, სულ მოხმადება, იქ მოეცდებოდა.

მაცივარი ვალიო შერივად განაზღვრა ხალხს ხალხს წილით, ხალხს დარეჯანს იგი დიდება, მაცივარია, ღონე და ძლიერება?

განსაზღვრა ტბილი ზეიხილვის, გამოხმადება ქვეყნისა ცეკვა.

წამბეჭდილი კაცი ღონეებითი ზეი.

დასტევისა— აკი ორმოცი ზეიარად ამ მუხომბეჭდისა და თვითონი კოვდელი. ღვარასისა— ვარეუნილი, თორავ, სელი წე წამბეჭდისა, ორმოცი იყო.

მაცივარი მოხმადება არის ცდებოდა.




# კ ა ვ კ ა თ ი



ხელმოწერა

პოეტი ვარ და არვის სწამს,  
ბრძენი ვარ და არვის ხჯერა...  
აფსუს, ჩემი სიბრძნე-ცოდნა,  
აფსუს, ჩემი ჩანგის ქლერა!



ერთი რამა მჭირს მხოლოდ მე:  
მეტიჩარა მაქვს ენანი,  
ჯერ ვიტყვი ხოლმე, მერე კი  
ჩემს ნათქვამს მევე ვინანი.

ამ ამბავს მხატვართა ნამუშევრების გამოფენაზე შევესწარი. ერთ პატარა მხატვარს დიდი ილია ჭავჭავაძის პორტრეტი გამოეტანა, რომელსაც უთვალავი თვალი მისჩერებოდა. ვინ რას ფიქრობდა და, ვინ რას. თვითონ პორტრეტის ავტორი მოკრძალებით გამდგარიყო განზე, თითქოს არც ყოფილიყოს ავტორი.

მაყურებლები კი შეჰყურებდნენ ილიას პორტრეტს. აბა კაცი რას გაიგებდა, რას ფიქრობდნენ ისინი, რომ გამოფენაზე გამეფებულ ღუმელში მალალ-მალალ პოეტს თავმდაბლურად არ ჩამოვგდო სიტყვა:

— აი, მესმის მხატვრული ჩანაფიქრის ორიგინალური გადაწყვეტა. აბა, შეხედეთ, როგორ იგრძნობა პოეტი ამ პორტრეტში, არა მარტო იმიტომ, რომ მხატვარს ილიასათვის კალამი მიუცია ხელთ და წინ სუფთა ქალაღიც გაუშლია. არა, შეხედეთ, რა პოზაში ზის დიდი შგოსანი: მარცხენა ხელი შუბლზე შემოუდვია, ვინ იცის, საქართველოს ბედნიერ მომავალზე მეოცნებეს „აჩრდილის“ სიტყვები უტრიალებს თავში, ან დიმიტრი თავდადებული უდგას თვალწინ...


— მოითმინეთ, მოითმინეთ, — დიმიტრი თავდადებულის ხსენებაზე თავი გამრიდო დაბალმა, ოდნავ ჩამკვრივებულმა მაშაყაძემ, რომელსაც არ ეტყობოდა, რომ ისტორიკოსი იყო, — თქვენ სწორად მიხვდით, რომ ილია აქ შეიძლება დიმიტრი თავდადებულზე, თამარ მეფეზე, ან, თუ გნებავთ, ერეკლე მეორეზე შეიძლება ფიქრობდეს, როგორც თავისი დროის დიდი ისტორიკოსი. დააკვირდით დეტალებს. მის წინ მაგიდაზე სქელტანიანი წიგნები აწყვია. მართალია მხატვარს თავი აურიდებია დაწვრილმანებისათვის, წიგნზე არაფერი წაუწერია, მაგრამ მე შემიძლია ვთქვა, რომ ეს წიგნი „ქართლის ცხოვრებაა“. მე, როგორც ისტორიის სპეციალისტს, კარგად მეცნობა ყველა გამოცემის ყდა. ასე, რომ...

— ნება მიბოძეთ სიტყვა ჩამოგართვათ, — გაისმა ისტორიკოსის უკან ვილაციის ხმა. სათვალეებიანმა, ქალარა მამაკაცმა წინ წამოდგა ერთი ნაბიჯი, ჩახველა და დაიწყო ისე დალაგებულად ლაპარაკი, რომ ყველა მიხვდა, ეს კაცი უდაოდ მოსამართლეაო. — სამართლიანობა მოითხოვს ვალიარო, რომ ორივენი ცდებით, და აი, რატომ. სურათზე აჩრდილიც არსადაა იმისა, რომ ილია „აჩრდილს“ წერდეს, რადგან გაშლილ ქალაღზე არაფერი წერია. ილიას უკან არც ჭავჭავაძის ქედი მოჩანს.

ახლა იკითხავთ, ეს სქელტანიანი წიგნებიო? არამცდარამც არ შეიძლება, რომ ეს წიგნი „ქართლის ცხოვრება“ იყოს, რადგან ილია ყოველთვის ამბობდა, „ქართლის ცხოვრება“ მეფეთა ცხოვრებაა, ჩვენს ისტორიაში ხალხი არ ჩანსო. ამიტომ ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვასკენი, რომ ეს წიგნი „ქართლის ცხოვრება“ კი არ არის, არამედ კოდექსია. ხოლო ილიას სახე, შუბლზე შემოდებული მარცხენა ხელი მეტყველებს იმაზე, რომ იგი, როგორც მონარიგებელი მოსამართლე, თავის თანამემამულეთა დევას საგონებელში ჩაუგდია. ასე და ამგვარად მხატვარს შეგნებულად დაუხატავს ილია, როგორც მოსამართლე, ერის სინდის-ნამუსი, კანონიერების, პრინციპულობის განსახიერება, — მოკლედ მოსჭრა მან და დასძინა, — ვფიქრობ, ჩემი მოსაზრება ამ პორტრეტზე საკმაოდ საბუთიანია და გაპროტესტებას არ საჭიროებს.

— ცდებით, სასტიკად ცდებით! — მოულოდნელად განაცხადა პროტესტი მოსამართლის გვერდით მდგარმა პორტფელიანმა კაცმა, რომელსაც სიტყვა ძუნწობაზე ეტყობოდა, რომ ეკონომისტი უნდა ყოფილიყო. — გავიწყდებათ, რომ ილია წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა საბანკო საქმეებს, აფინანსებდა ქართულ თეატრს, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას. აბა! სწორედ ილია, როგორც ეკონომისტი, ჩანს ამ პორტრეტზე. დიახ! როგორ ფიქრობთ, საანგარიშოს ხომ არ დაუდებდა მხატვარი მაგიდაზე დიდ ილიას? — ეს უანგარიშოდ წამოისროლა ეკონომისტმა, მიხვდა, რომ ბევრ სიტყვას ხარჯავდა, დროის ბიუჯეტი კი იწურებოდა, ამიტომ გაჩუმდა და მრავალმნიშვნელოვნად მიაშტერდა პორტრეტს, თითქოს ხელახლა ანგარიშობდა, მართალი ვარ თუ არაო.

— ყველას გავიწყდებათ, რომ ილია იყო ქართველი ერის ერთერთი უდიდესი განმანათლებელი, — ჩაერია კამათში ასე ოცდაათ წელს გადაცილებული ქალი, რომელსაც ლაპარაკზე ეტყობოდა, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი უნდა ყოფილიყო, — წიგნი, როგორც განათლების სიმბოლო, სწორედ ამიტომ დასჭირებია მხატვარს. თუ გნებავთ, კალამი და დაუწერელი ქალაღიც მეტყველებს იმ დიდ ჯაფაზე, რომელიც ილიამ გასწია, როგორც ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ორგანიზატორმა. გაიხსენეთ ილიას სიტყვა, წინამძღვრიანთ კარში სკოლის



იცი თუ არა შენ?..

გახსნაზე, ან მისი წერილები სწავლა-განათლებლაზე, რომელი ერთი უნდა ჩამოეთვალო...

ვაი, თუ მართლა ჩამოთვლა დაიწყოს, იფიქრა იქვე მდგომმა ჟურნალისტმა, რომელსაც მხარზე ფოტოაპარატი ქონდა გადაკიდებული და ხელში ბლოკნოტი ეჭირა, და უცებ შეაწყვეტინა სიტყვა პედაგოგს: თქვენ ამხნევთ წიგნებს მაგიდაზე, მაგრამ ყურადღებას არ აქცევთ იქვე გაუშლილ გაზეთს. მართალია მას არა აქვს წარწერა „ივერია“, მაგრამ ვფიქრობ, ილია მხატვარს წარმოუდგენია სწორედ „ივერიის“ რედაქციაში, როდესაც იგი მონავალი ცხარე სტატიის შექმნით არის გართული. იქნებ ამ წუთს უნდა დაიწყოს კოხლოვის „შეშლილის“ ქართული თარგმანის განქიქება.

აქ მთარგმნელებს (რომლებიც საკმაოდ მრავლად მოსულიყვნენ) უნდოდათ ჩარეულიყვნენ კამათში, მაგრამ მათ სხვებმა არ დააცალეს, ყველა თავისას გაიძახოდა.

ერთმა აგრონომმა მაინც შესძლო ყველას გასაგონად წამოეყვირა: — ილია ისეთი მცოდნე იყო სოფლის მეურნეობის, რომ ბევრი ჩვენთაგანი ვერ დაიქადებს. რბილად რომ ვთქვათ, რა არ იცოდა მან მებამბეობა გინდათ—თუ მევენახეობა. ამიტომაც ჩარჩოზე ვაზის ფოთლებია მოჩუქურთმებულიო.

ვინ იცის რამდენ ხანს გაგრძელდებოდა ეს პაექრობა, რომ დროს ამოწურვა არ ეუწყებინათ გამოთენის დამთვალეობებისათვის.

ერთმა გამოჩენილმა კრიტიკოსმა მაინც მოახერხა თავისი კრიტიკული შენიშვნა ავტორიტეტული ტონით წარმოეთქვა:


— პორტრეტში არ ჩანს ილია, როგორც კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენელი, რადგან განრისხებული და დაბღვერილი არ გამოიყურება, თუმცა ამის ელემენტი კი მოიპოვებაო.

ჩვენც გვინდოდა ორიოდ სიტყვა გვეთქვა სასიქადულო მწერალზე, როგორც სატირიკოსზე და მის სახეზე აღბეჭდილი მრავალმნიშვნელოვანი ღიმილი ილიასათვის ჩვეულ მწარე ირონიად მიგვეჩნია, მაგრამ დრო აღარ ითმენდა, თანაც დავრწმუნდით, რომ ჩვენს სიციხლეში პირველად შევესწარით კამათს, როდესაც ყველა მოკამათე მართალი იყო.

...რთმ მგზური „ილია ჩაჟაჟავადის სასლ-მუზეუმი სავურამბოში“. გამოიცა მსოფლდ ქართულ უნაჭე, შისი რუსული თარგმანი სელუსლულად ბეკს მთავარბოლიგრაფიკამბოშეპლბომის პირველ სცემბამი და მთომინრებით ელთდეშა თავის დამდეშის დლეს.

...რთმ ილია ჩაჟაჟავადის ნაწერაშის სრული ვრებული სრთ ცომად ელვისეშრად იშექდეშა 1937 წლიდან და ამ გამბეშის მესრთ ცომში დლის სინათლეს ისილავს 1958 წელს.

...რთმ საქართულთს სსრ ვულტურის საბინისცრთს მთავარბოლიგრაფიკამბეშეპლბომის ბექდეშითი სიციყვის ვამბინაცშა სრთცომბეულის ბექდეშის მრავალწლოვანი გამბედეშის დედეშად ვარვეულ წარმაცეშის მიადწის და ილიას თსრბულეშათა ათცომბეულის პირველ ცსრც ცომის გამბეშის დამბთავრეშს აშა წლის ბთლბედე, სთლთ მესრთ ცომს—1958 წელს.



ნახ. ნ. მაღალაშინისა



მე. ნადირობის ტრფიალს რომ იტყვიან, სწორედ ისა ვარ.

ერთხელ მე და მისტერ ჯონი ერთ ადგილს შევიყარენით; ჯერ, როგორც მოგესხენებათ, წინ ნოტა წავიმძღვარენით! მერე ვუთხარ: მისტერ ჯონო, საქმენი თქვენი გვაუწყეთ,— რით იდიდეთ თავი თქვენი. ქვეყნებს რა გზები გაუწყეთ? მაკალითებრ. მაშინ, როცა სამამულლო მოვრჩით ოში, როცა სწრაფვა ხალხებისა მშვიდობისა გახდა მდომი. რა აკეთეთ, რას შვრებოდით? — შენი მტერი!. ჩვენ ფაშოზმის ის საფრთხენი ვერ აღვუსხებთ,— «რკინის ფარდა» მოვიგონეთ და საბჭოეთს კენა ვუწყეთ! — მერე, როცა მაგ კენაში სარგებელი ვერა ნახეთ. თანმიმდევრად ჩაგეფუშათ რაც რომ მტრობა განიზრახეთ; რა აკეთეთ, რას შვრებოდით? — რას ვიზამდით? ვარდაუვალ კრიზისში ვიწეწებოდით! — მერე, როცა ემაგ წეწვით თქვენ ხალხს საქმე გაუჭირეთ და მშვიდობას ქვეყნად თქვენი ზრუნვა ურცხვად დაუძვირეთ, რა აკეთეთ, რას შვრებოდით? — ევროპაში ბლოკებისთვის გავრბოდით და გამოვრბოდით! — მერე, როცა თქვენი ბლოკით ვერაფერი გაირიგეთ. ვერც კორეა, ვერც ეგვიპტე მწვადივით ვერ დაირიგეთ. რა აკეთეთ, რას შვრებოდით? — ძველ ფაშისტებს მივაშურეთ, ძმადნაფიცად ვუხდებოდით! — მერე, როცა ვერც მაგ ძმობით, ვერც ბაზებით,—(არ გაზახდეთ!), ვერც ატომით, ვერც წყალბადით, საბჭოეთი ვერ შეაკრეთ, რა აკეთეთ, რას შვრებოდით? — უნგრეთს კონტრევოლუციას ზედ მალამოდ ვედებოდით! — მერე, როცა ვერც მაგ ფანდით ვერ გააწყეთ ვერაფერი, რა აკეთეთ, რას შვრებოდით? — სირიაზე თავდასხმისთვის ინტრიგების ქსელსა ვქსოვდით! — მერე, როცა ათას ფაქტით ქურდს კვლავ «თხლეზე» მოგაკვლიეს, და განიარაღებისა პაქტისთვის კვლავ მივიწვიეს, რა აკეთეთ, რას შვრებოდით? — ბალისტიკურ ბომბის შიშით მთლად შეგვერყა ჰეკა და გონი. რა ვაკეთეთ?.. აქ დაიბნა მისტერ ჯონი გულნატკენი.— «მშვიდობაო?» რა მშვიდობა? „პოქოლუსტა“ დამესხენი!

ბ. პატარაძე  
ბ. მაღალაშინი

შარსადანი

რედაქტორი—ელგუჯა მალრაძე. სარედაქციო კოლეგია: აკ. ბელიაშვილი, დ. გაბაშვილი, ს. კლდიაშვილი, გ. ჯაში, ს. ფაშალიშვილი, თ. ქელიძე. საქ. კ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нпаიგი“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 43 ტელ. 3-10-49

გამომც. № 18, ხელმოწ. დასაბ. 21/IX-1957 წ. ქალ. ხომა 70x108 1/8, 0,5 ნახ. ფურც. 1,37. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. 14. ზეცვ. № 1063. უფ 05119. ტირ. 30.000.

მარალ და ყველგან, სტარტველოვ, შპ ვარ ზენთანა..

ნახ. ა. მანუქაძის

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

